ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

16-42

დადგენილება № ------

5 დეკემბერი

"----" ---------- 2014 წ.

ქ. თბილისი

„ქ.თბილისის 2014 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2014 წლის 7 მარტის №5-5 გადაწყვეტილებაში ცვლილების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტის და ,,ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება ქ.თბილისის 2014 წლის ბიუჯეტის შესახებ" ქ.თბილისის საკრებულოს 2014 წლის 7 მარტის #5-5 გადაწყვეტილებაში (სსმ, ვებგვერდი, 11/03/2014; სარეგისტრაციო კოდი:190020020.36 101.016200) და „ქ.თბილისის 2014 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქ.თბილისის საკრებულოს 2014 წლის 7 მარტის N5-5 გადაწყვეტილებაში.

მე-12 მუხლში „კეთილმოწყობის საქალაქო ღონისძიებების" (კოდი 2.9.1) ქვეპროგრამა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2.9.1 კეთილმოწყობის საქალაქო ღონისძიებები"

,,დედაქალაქის საჭიროებებისა და პრობლემების მოსაგვარებლად აუცილებელია კეთილმოწყობითი ღონისძიებების განხორციელება. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ღონისძიებები: დაზიანებული საქალაქო ინფრასტრუქტურის ობიექტების აღდგენა რეაბილიტაცია; ვაზიანის ქიმიური სამარხის მოვლაპატრონობა; შადრევანაუზების რეაბილიტაცია და მოვლაპატრონობა (ექსპლოატაცია); სამისამართო აბრების შეძენა მონტაჟი; დახურული ნაგავსაყრელი პოლიგონების დაცვა; დედაქალაქის ტერიტორიაზე სხვადასხვა ობიექტების კეთილმოწყობა; სხვადასხვა ღონისძიებების ფარგლებში დროებითი ნაგებობებისა და კონსტრუქციების მოწყობა".

2. დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ალიბეგაშვილი